საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია

მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“
თვიურად ღირს 12,500 მ. სამგლოვიარო განცხადება 15,000 მ.;
კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე.
რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 500 მანეთი

№ 70

1921 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანნა და გერონტი კილოხანია მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და ნაცნობებს საყვარელ ამხანაგ

დიმიტრი (მიტო) ქიტუაშვილის

უდროოთ ტრაღიკულათ დაღუპვას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 საათზე მიხეილის საავადმყოფოში. დაკრძალვა მოხდება კვირას დილის 10 საათზე, წმ. ნინოს სასაფლაოზე.

ღრმად დამწუხარებული და ძმები: ამხანაგები, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოდ დაღუპვას

მიტო ქიტუაშვილის

პანაშვიდი ყოველ დღე საღ. 5 საათზე მიხეილის საავადმყოფოში. დაკრძალვა კვირას, ნოემბრის 13-ს წმ. ნინოს სასაფლაოზე გვამს გამოასვენებენ დილ. 10 საათზე. 67

ირაკლი გიორგის ძე ამირეჯიბი ოჯახობით მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას ტრაღიკულად გარდაცვალებას

დიმიტრი ქიტუაშვილისას

რომელიც შეიქმნა მსხვერპლი ტფილისის ქუჩებში ავტომობილების გაველურებულ თარეშისა. 68

ნოემბრის 12-ს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება 1920 წ. ენკ. 10-ს სპარსეთში ომში მოკლულ გენერალ-მაიორის

არჩილ კონსტანტინეს ძე

გარაყანიძის

წლის პანაშვიდი, რასაც აუწყებს ნათესავებსა და ნაცნობთ მწუხარებაში მყოფნი, დედ მამა მარია ანდრიას ასული და კონსტანტინე ალექსანდრეს ძე, ძმა იოსებ გარაყანიძეები და მისი ოლა კონსტანტინეს ასული მეღვინეთუხუცესისა. 64

დამწუხრებულნი: მეუღლე დავით გიორგის ძე ჩიქოვანი და მშობლები ბესარიონ ქრისტეფორეს ძე და მარიამ ანდრიას ასული დვალიძეები შვილებით აცხადებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთა საყურადღებოდ, რომ დანიშნულია ორმოცის დღის წირვა და პანაშვიდი

ანეტო ჩიქოვანისა

კვირას, ნოემბრის 13-ს, დილის 11 საათზე განსვენებულის საფლავზე ნაძალადევის ეკლესიის გალავანში. 65

ყრილობის შედეგები

3

ერთი უდიდესი საკითხი, რომელიც დიდ განხეთქილებასა და დავას იწვევს მთელი მსოფლიოს სოციალისტურ პარტიებში, არის ინტერნაციონალის საკითხი. დღეს მთელს კაცობრიობას ოთხი ინტერნაციონალი—მუშათა საერთაშორისო ორგანიზაცია ამშვენებს. ყოველი პოლიტიკური პარტია, რომელსაც თავისი ხელით არ დაუსვამს თავისი თავისათვის არ ყოფნის შავი ჯვარი, მოვალეა გარკვევით გამოსთქვას თავისი შეხედულება ყველა არსებულ ინტერნაციონალის შესახებ.

ჩვენი პარტია არ არის პარტიკულიარულ მსოფლმხედველობის მატარებელი. ჩვენი პარტიული პროგრამა შეუძლებელია მოთავსდეს კარჩაკეტილ ნაციონალიზმის საზღვრებში. ჩვენი გზა ყოველთვის მიეშურებოდა „ნაციონალიზმიდან ინტერნაციონალიზმისაკენ“ და ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ჩვენი სინთეტიური გაგება მოვლენებისა ყოველთვის აერთიანებდა ზოგადსა და ინდივიდუალურს, ამიტომ ჩვენი პარტია შეუძლებელია დაკმაყოფილდეს მარტო ჩვენი სამშობლოს ნიადაგზე ისახავს ძალებით და არსებითი ყურადღება არ მიაქციოს მსოფლიოს წინ წამოჭრილ ძიებებს. მემარცხენე სოციალისტ ფედერალისტთა ყრილობამ ნათლად და გარკვევით დასვა საკითხი ამ ახალ და აღიარა, რომ სოციალიზმის განხორციელება, სოციალური რევოლიუციის ქვეყნად დამკვიდრება შესაძლებელია მხოლოდ ინტერნაციონალური გზით. ვერც ერთი ერი, ვერც ერთი სახელმწიფო, რაგინდ დიდი და ძლიერი არ იყოს მისი ენერგია და ეკონომიური რესურსები, თანამედროვე იმპერიალიზმისა და ფინანსიური კაპიტალის ბატონობის ხანაში, როცა მთელი მსოფლიოს შემადგენელი ნაწილები განუწყვეტელი ეკონომიური ურთიერთობის ჯაჭვით არიან გადაბმულნი, ვერ შესძლებს დამოუკიდებლად მოახდინოს სოციალურ ცხოვრების ახალს საფუძველზე გარდაქმნა. ეს მარტივი და ნათელი და უეჭველი ჭეშმარიტება აიძულებს ყველა სოციალისტურ პარტიას დადგეს საერთაშორისო ბრძოლის ნიადაგზედ და ისეთი ორგანიზაციის შექმნას შეუწყოს ხელი, რომელიც შესძლებს მთელი მსოფლიოს რევოლიუციონური ძალების მობილიზაციას, დარაზმვას და ერთი საერთო მიზნით ამოძრავებას. კაპიტალიზმის ბატონობის მოსპობა და სოციალისტური რევოლიუციის მტკიცე კალაპოტში ჩაყენება გადაჭრით მოითხოვს საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნას, საერთაშორისო მასშტაბში მოღვაწეობას, საერთაშორისო ბრძოლის მეთოდების და მიზნების გამომუშავებას. მსოფლიო ძალთა ბრძოლა, იმპერიალიზმისა და რევოლიუციის დაპირისპირება, საერთაშორისო ნიადაგზედ ხდება. აქედან გარკვეული და ნათელი უნდა იყოს პოლიტიკა ყოველი სოციალისტური პარტიის, რევოლიუციონური ორგანიზაციის, რომელიც საქმით სდგას სოციალიზმის ნიადაგზედ და არა სიტყვებით; ყოველმა მათგანმა გარკვევით უნდა იცოდეს, რომ სოციალიზმის საქმის გამარჯვება, დაჩაგრულ და წვრილ ერთა სრული განთავისუფლება იმპერიალიზმის მონობისაგან, შესაძლებელია მხოლოდ საერთაშორისო რევოლიუციონური ორგანიზაციის მოწყობით და მისი მიზანშეწონილად ამოძრავებით.

ეს ხალასი ჭეშმარიტება ნათლად შეიგნო ჩვენმა ყრილობამ და ამისათვის შესაფერისი დადგენილება გამოიტანა. ჩვენ ამით ერთს საკითხში კიდევ დავსცილდით ჩვენს ყოფილ ამხანაგებს და ჩვენი პროგრამის პრაქტიკული საქმიანობა ისე მივმართეთ, როგორც ამას გვიკარნახებდა მისი ნამდვილი შინაარსი. ძველი პარტიის ხელმძღვანელები სიტყვით ძლიერ ხშირად გაჰკვიოდნენ საერთაშორისო რევოლიუციონურ მოძრაობაზე, მშრომელთა სოლიდარობაზე, ინტერნაციონალზე, მაგრამ საქმით მათ ამისთვის ერთხელაც არ გადაუდგამთ გარკვეული ნაბიჯი თუ მხედველობაში არ მივიღებთ 1907 წ. შტუტგარტის კონფერენციაზე გ. დეკანოზიშვილის გაგზავნას, რომელიც ძლიერ მალე დაავიწყდათ და არც უზრუნვიათ განეგრძოთ ურთიერთობა ინტერნაციონალთან, სოციალისტურს საერთაშორისო ოჯახთან. მათი მოღვაწეობა ჩვენი ცხოვრების ვიწრო და წვრილმანი საქმეებით შემოიფარგლა, ბურჟუაზიულ ცხოვრების ჭაობში ჩაეფლო და ამ სენისაგან დღესაც ვერ განთავისუფლებულან.

მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიამ ეს გზა დაგმო და უარყო, როგორც შეუფერებელი და მიუღებელი რევოლიუციონური პარტიისათვის. ჩვენ დავდექით საერთაშორისო სოციალისტური რევოლიუციის ნიადაგზედ და ამით ჩვენი პატარა ძალებითაც ჩავებით საერთაშორისო მოძრაობაში.

ამ გარემოებამ გამოიწვია ის, რომ ყრილობამ დიდი ყურადღებით განიხილა თანამედროვე ინტერნაციონალების პლატფორმები, კრიტიკულად აწონდაწონა მათი სამოქმედო გეგმები და მეთოდები და ოთხ სხდომაზე წარმოებულ ცხარე კამათის შემდეგ გარკვეული რეზოლიუცია გამოიტანა.

ჩვენ მიდგომა და შეფასება თანამედროვე ინტერნაციონალური ორგანიზაციებისა გამომდინარეობდა წმინდა პრაქტიკულ საქმიანობის საზრისიდან: ჩვენ ვსვამდით საკითხს, თუ როგორი სვამდა ესა თუ ის ინტერნაციონალი მშრომელი კლასის პრაქტიკულ საქმიანობის გეგმებს, რამდენად ემსახურებოდა მათი პლატფორმა მშრომელთა და დაჩაგრულ ერთა განთავისუფლების დიად საქმეს; ერთი სიტყვით რომელი ინტერნაციონალის სამოქმედო პროგრამა იყო მიზანშეწონილი, სწორი და პირდაპირი თანამედროვე სოციალური წყობილების გარდასაქმნელად; რომელმა მათგანმა აიღო ყველაზე უფრო კარგათ ალღო საერთაშორისო ცხოვრების ვითარებას. ყრილობა მიუდგა საკითხს პრაქტიკულ რევოლიუციონიზმის საზომით და თავი მიანება განყენებულ თეორიებზე მსჯელობას. ეს ასედაც უნდა მომხდარიყო. ინტერნაციონალი დღეს პრაქტიკულ საქმიანობის, რევოლიუციონური მოღვაწეობის, ბრძოლის ორგანიზაციაა.

ჩვენთვის მიუღებელი შეიქნა მეორე და ორნახევარი ინტერნაციონალები. პირველმა მათგანმა სამარცხვინო დამარცხება განიცადა 1914 წ., საერთაშორისო ომის დასაწყისში, როცა მისი შემადგენელი პარტიები იარაღით ხელში მოუწოდებდნენ თავიანთ წევრებს, „ეროვნულ“ იმპერიალისტებთან ერთად „მოწინააღმდეგე“ ერის პროლეტარიატის გასანადგურებლად. მეორე ინტერნაციონალი მოკვდა ომის დასაწყისში, როგორც ორგანიზაციულად, ისე იდეურადაც. დღევანდელი მისი პირისუფლები სცდილობენ გამოაცოცხლონ მეორე ინტერნაციონალის გვამი, მაგრამ მათი ცდა უშედეგო და უსახო რჩება. ჟენევის უკანასკნელმა კონგრესმა დაგვისახა, რომ ამ ინტერნაციონალს არ ძალუძს დამოუკიდებელი არსებობა და რაიმე გარკვეული მუშათა პოლიტიკის წარმოება. თუ ომის პროცესში მისი მიმდევრები საკუთარ იმპერიალისტებს ამოუდგნენ გვერდში, ომის დათავებისას მეორე ინტერნაციონალის გმირები გამარჯვებულ მოკავშირეების მხარეზე დადგნენ და ვერსალის ავაზაკური საზავო პირობები აღიარეს მთელი მსოფლიოს მხსნელად. მეორე ინტერნაციონალმა სავსებით მიიღო იმპერიალიზმი და ამ გზით სცდილობს ვითომდა სოციალიზმს შეუმზადოს ნიადაგი. არსებითად მათი პოლიტიკა დამღუპველია მთელი მუშათა კლასისათვის და წვრილ და ჩამორჩენილ ერთა გაყვლეფისაკენ არის მიმართული. ასევე მიუღებელია ორნახევარ ინტერნაციონალის პლატფორმაც, რომლის მიხედვით მოხვეული პოლიტიკა არავითარ გარკვეულ გეზს არ აძლევს მუშათა მოძრაობას. ამ ინტერნაციონალის დამახასიათებელი თვისება არის პასივობა. „პასიური რადიკალიზმის“ თეორია და „უმოქმედო ლოდინის პოზიცია“, აი რა ახასიათებს მათ. მათ არ ძალუძთ საერთაშორისო ცხოვრების მიმდინარეობაში რეალურად ჩაერიონ და აქტიურის ძალდატანებით გარდაჰქმნან კაპიტალისტური ცხოვრება სოციალისტურზე. მათი შეგნებით ცხოვრება თავის თავად, პროლეტარიატის ნების დამოუკიდებლად „მოიყვანს“ სოციალიზმს.

ვფიქრობთ, ერთობ დიდხანს დასჭირდებათ ორნახევრებს სანეტარო დროისათვის ლოდინი.

მეოთხე ინტერნაციონალის გარკვეული სახე ჯერ არ არის ჩამოყალიბებული. მის გარშემო იკრიბებიან ის ელემენტები, რომელნიც უკმაყოფილონი არიან მესამე ინტერნაციონალის დღევანდელი პოლიტიკით. მათ ახასიათებს პირდაპირის გზით, უკომპრომისოდ კომუნიზმისაკენ.

ასეთი პოლიტიკა, რომელიც საკუთარ უკმაყოფილების გრძნობებზედ არის აგებული, ვერ გამოდგება სოციალისტური პოლიტიკისათვის.

ყრილობამ თავისი გარკვეული შეხედულება გამოსთქვა მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის შესახებ და აღნიშნა მისი დიდი მნიშვნელობა სოციალ გარდატეხის პროცესში. კომინტერნი თავის გარშემო აერთებს მთელი მსოფლიოს მშრომელ მასებს და ერთ უდიდეს აქტიურ ძალას წარმოადგენს კაპიტალიზმთან ბრძოლაში.

პარტიულმა ყრილობამ თავისი თანაგრძნობაც კომუნისტურ ინტერნაციონალს გამოუცხადა.

სამ. ხუნდაძე.

რევოლიუციის დეზერტირები

ნოემბრის პირველი საქართველოს მუშათა კლასის პოლიტიკურ ცხოვრებაში ფრიად ღირსშესანიშნავ დღედ უნდა ჩაითვალოს. ამ დღეს პირველად შეეცადა ბატონობის ძვირფას დაკარგული მენშევიკური პარტია თავისი დაშლილ, სამუდამოდ განიავებულ ძალების მობილიზაციას და მოინდომა არსებულ წყობილებისადმი მტრულ განწყობილების საქვეყნოდ აღნიშვნა მუშების საერთო გაფიცვის საშუალებით. როგორც მოგეხსენებათ, მენშევიკების ცდამ უშედეგოთ ჩაიარა, მათ პროვოკაციულ ანკესს არავინ წამოეგო, დემაგოგიურ ხრიკებს ტფილისის მშრომელთა კლასმა გონივრულად აუღო ალღო და ამით პოლიტიკური სიმწიფის გამოცდა საუცხოოთ დაიჭირა. გაფიცვის მოწყობის ცდა თავის [illegible]. მას არ მოჰყოლია არავითარი საზოგადოებრივი ხასიათის შედეგი, მენშევიკური კომპანიის პოლიტიკური სიბეცის გამომაშკარავების გარდა. მაგრამ რეალი ფაქტია და აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მენშევიკური პარტია კიდევ ცდილობს თავის პოლიტიკის წარმოებას. ეს არის სავალალო, სამწუხარო მოვლენა, ამაში მდგომარეობს ჩვენი ეროვნული ტრაგედია, მშრომელი მასსის უბედურება. მენშევიკური პარტიას საქართველოში აქვს ისტორიული წარსული, სოც.-დემოკრატიული რეფორმისტულ-ბურჟუაზიულ სულისკვეთება ღრმად აქვს ქართველ ხალხს ძვალ-რბილში გამჯდარი, შესისხლხორცებული. აშკარაა, იმის ამოფხვრა, რაც ფართო მასსის ფსიქიკაში ოცდა-ათ წლის განმავლობაში იქმნებოდა, ვითარდებოდა, ერთის დაკვრით ყოვლად შეუძლებელია, ყოვლად წარმოუდგენელი. ეს შესაძლოა მხოლოდ თანდათანობით, ევოლიუციურის გზით დროთა ხანგრძლივ მსვლელობაში. ქართველი, მუშის სხეული მოწამლულია მენშევიკური ეპიდემიური ბაცილებით და მისი განკურნება ამ სენისაგან, სრული გაჯანსაღება, არც ისეთი იოლი საქმეა, როგორც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ აზრის ერთი გაქანებით...

ამრიგად, პირველი ნოემბრის ამბები მენშევიზმის უშედეგო შედეგია. ამ ამბებში არც ერთ წმინდა სოციალისტურ ორგანიზაციებს არ მიუძღვის წვლილი, არც ერთ ჩვენმა პარტიულ ამხანაგმა მუშამ არ იცოდა საქმის ნამდვილი ვითარება.

რაშია საქმე, რომ გამოიწვია მენშევიკური „მძიმე არტილერიის“ ამოქმედება?

როგორც გამოირკვა, გაფიცვის ცდა მოხდა „მუშათა დელეგაციის“ დადგენილების ნიადაგზე. ეს დელეგაცია აურჩევია ინტერპარტიულ კომისიას (sic)! დელეგაცია წამდგარა საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის წინაშე და, როგორც გადმოგვცემენ მენშევიკები, დაუყენებიათ იგი. ჩვენ ამ ჟამად ყოველივე ამას გვერდს ვუვლით, ამის სიმართლე-სიყალბის აღნუსხვა არ მიგვაჩნია საჭიროდ, მხოლოდ მივაქცევთ ყურადღებას იმ პრინციპიალ საკითხებს, რომლის გაშუქებას ითხოვს საზოგადოებრივი აზრი და რომელსაც აქვს უაღრესად ეროვნული ხასიათი. ეს კითხვები დელეგაციის მიერ წამოყენებულ მოთხოვნილებათა დედა-აზრში, განსაკუთრებით შემდეგ ორ მუხლში გამოიხატება: ქართული ენის დაცვა და რუსეთის ჯარების გაყვანა საქართველოს საზღვრებიდან.

ასეთია მოკლედ ცენტრალი ადგილი „მუშათა“ დელეგაციის წინადებაში. ჩვენთვის, მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებისათვის, ქართული ენის დაცვა და მისი ცხოვრებაში გატარება სრულიად უდაო ჭეშმარიტებაა. სიტყვით, საქმით, პრესით მუდამ იმას ვამტკიცებდით და გადაჭრით მოვითხოვთ ახლაც, რომ დამოუკიდებელ ეროვნულ სახელმწიფოში უნდა ბატონობდეს ეროვნული ენა, მეფობდეს ეროვნული კულტურა, ზნე ჩვეულება. ასეთია ჩვენი ურყევი პოზიცია, ეროვნულ და სოციალისტურ არგუმენტაციით დასაბუთებული, ამას მოითხოვს თანამედროვე სოციალისტური რევოლიუციის ლოღიკა. უნდა ითქვას, საბჭოთა მთავრობის მხრივ ამ დარგში სწარმოებდა მუშაობა. კიდეც გამოიცა დეკრეტი დაწესებულებათა ნაციონალიზაციის და ქართული ენის სახელმწიფო ენათ აღიარების შესახებ. სამწუხაროდ, განვლილ დროის პრაქტიკამ დაგვანახა, რომ მთავრობის განკარგულებებსა და ბრძანებებს თვალსაჩინო შედეგი არ მოუცია ჩვენთვის. რაც თეორიაში იქმნება, სულ სხვაგვარ წარმოსახვაში გვევლინება სინამდვილეში. ეს ვიცით ჩვენ, ამ ნიადაგზე ვიბრძვით კიდეც. მაგრამ სავსებით არ გვესმის და ყოვლად მიუღებლად მიგვაჩნია მშობლიურ ენის დაცვის საკითხის მენშევიკების მიერ დაყენება. სოც.-დემოკრატიული პარტია, რომელიც დღიდან წარმოშობისა მთელი თავისი არსებით უარყოფდა არამც თუ ქართული ენის, სიტყვა „საქართველოს“-საც კი, დღეს გამოქომაგებულა და მოითხოვს სუვერენულ ეროვნულ სახელმწიფოს ატრიბუტების დაცვის საჭიროებას. ყოველი ქართველისათვის ნათელია მენშევიკების შავი ფიქრები. მენშევიკებს სურთ არა საქართველოს აღდგენა, ქართველი ერის ეროვნულ ნიადაგზე დაყენება, არამედ დაკარგულ ბატონობის დაბრუნება. ჟორდანია-ჩხეიძე დიდი ხანია აღერბეიჯანის მუსავატელებთან და სომხების დაშნაკელებთან ერთად საქართველოს დამოუკიდებლობას პარიზში სულთათანა უგალობენ. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ადგილობრივ მენშევიკებისათვისაც საქართველო და მისი ეროვნული თავისუფლება უბრალო შირმაა, ყოველგვარ ფორმასა და შინაარსს მოკლებული. ჩვენ არ გვჯერა მენშევიკების გულწრფელობა, მათი იდეალია პარტიული კამარილია და სხვა არაფერი.

დღეს საქართველო ეკონომიურ კრიზისს განიცდის, მშრომელთა კლასისათვის ჯერ კიდევ მიუწვდომელია პირველ საჭიროების სურსათ-სანოვაგე. სახელმწიფოებრივი აპარატი ნორმალ პირობებში არაა ჩაყენებული. ბურჟუაზიამ აშლილ-აწეწილი ქვეყანა დაგვიტოვა; მშრომელთა კლასს ახლად უხდება შრომის სამეფოს შენება. აი ამ დროს გამოდიან მენშევიკები და ცდილობენ გაფიცვების მოწყობას, მუშათა ეკონომიურ მდგომარეობის კიდევ უარეს პირობებში ჩაყენებას. ეს არის ღალატი მშრომელი ხალხის, რევოლიუციისა და სოციალიზმის...

ჩვენ პრინციპიალურად წინააღმდეგი ვართ საქართველოს მიწა წყალზე უცხო შეიარაღებულ ძალების არსებობისა, სულ ერთია, ჯარები რუსეთის იქნება, გერმანიის თუ ინგლის-საფრანგეთის. გარეშე ძალების შემოჭრა ოკუპაციის დიდი ტვირთია, ოკუპაცია კი ეროვნულ სუვერენიტეტის უარყოფის დაკანონებაა. ეს იცის საქართველოს რევოლიუციონურ მშრომელთა კლასმა. მაგრამ ამავე დროს საჭიროა მდგომარეობის გათვალისწინება და არსებულ პირობების ანგარიშის გაწევა. ამ ჟამად საქართველოს არ ჰყავს საკმარისი ჯარი წითელი ლაშქარი, ორგანიზაციულად ჩამოყალიბებული. ეროვნული ჯარის შედგენა არაა დამთავრებული, მიუხედავად იმისა რომ ამ სფეროში სწარმოებს გამუდმებული მუშაობა. დამოუკიდებელ სახელმწიფოს არსებობა ერთ წუთსაც არ შეუძლია, თუ იგი არ ეყრდნობა საკუთარ შეიარაღებულ ძალას, მით უმეტეს—თანამედროვე პირობებში, რადესაც იმპერიალიზმის საშინელი ბრჭყალები ყოველ წუთში გვეჩხირება თვალში. მაშასადამე, ეროვნული ტერიტორიის რუსის ჯარებიდან გაწმენდას საკუთარი ლაშქრის შექმნა-განმტკიცება უსწრებდეს წინ. არ იციან ეს მენშევიკებმა? რა თქმა უნდა—იციან, მაგრამ ისიც კარგად იციან, რომ ამით მათ სამუდამოთ მოეღება ბოლო, საბოლოოდ გაუ-

ცრუფეფების ბატონიშვილის სანეტარო დღეები.

რუსეთის ჯარების გაყვანა უწინარეს ყოვლისა სასარგებლო მენშევიკებისათვის. მაშინ მიეცათ მათ თავისუფლად ამოქმედების საშუალება და ყოველგვარი ავანტიურისა და შეიარაღებულ ძალების წყალობით ამბოხების მოწყობის შესაძლებლობა. პარტიულ იეზუიტიზმა მენშევიკები თავდავიწყების ლოღიკურ დასკვნამდე მიიყვანა! პოლიტიკურ ძალაუფლების ხელში ჩაგდების ჟინმა ისე გაიტაცა მენშევიკები და მათი ამყოლნი, რომ ოღონდ მიაღწიონ მიზანს და არავითარ საშუალებას, ძმათა შორის სისხლის ღვრასაც არ ერიდებიან...

უნდა ითქვას, ერთ რამეს მიაღწიეს მენშევიკებმა, ევროპის ბურჟუაზიულ პრესაში დიდი ალიაქოთი იქნება, მითქმა-მოთქმა: საქართველოს მშრომელთა კლასი გადაცვლილია, იგი პროტესტს აცხადებს არსებულ ხელისუფლების წინააღმდეგო. ეს დიდი პლიუსია იმპერიალისტების სრა-სასახლეების დერეფნებში მონავარდე რამიშვილ-გეგეჭკორ-წერეთლისათვის...

მეტად მკაცრია და ულმობელი თავისუფლების სამსჯავრო. ისტორიის ნემეზიდა სასტიკ მსჯავრს დასდებს სოციალიზმის მოღალატეთ და რევოლუციის უდიერ დეზერტირებს...

გ. მუზაშვილი.

ახალი ამბები

— **რევტრიბუნალში.** 14 ნოემბერს 1921 წ. საღ. 6 საათზე ცალკე კავკასიის არმიის რევ. ტრიბუნალში სამართლის ქ. № 32. გაირჩევა საქმე უფროსი ექიმი მელიკოლოვისა რომელსაც ბრალდება ავადმყოფ წითელ არმიელისადმი უყურადღებობა, რომლის შედეგი შეიქმნა სიკვდილის შემთხვევა. უხეში მოპყრობა ავადმყოფებთან და კერძო პრაქტიკისათვის სახელმწიფო მედიკამენტების დახარჯვა. საქმე გაირჩევა საზოგადოების წარმომადგენლის და ბრალდებულის და დაცვის მონაწილეობით დარბაზში შესვლა შეიძლება ბილეთებით რომელსაც მიიღებენ სამსახურის საათების დროს რევ. ტრიბუნალის მდივანთან. ბილეთების რიცხვი განსაზღვრულია.

— **ბათომიდან ტფილისს მთავრობის თავმჯდომარეს ამხ. მდივანს. ასლი ამხ. მახარაძეს:** ჩვენ აჭარისტანის მშრომელთა წარმომადგენლები რომლებმაც თავი მოვიყარეთ ყველა სოფლებიდან რიცხვით 260 კაცამ ქ. ბათომში ჩვენს პირველ ყრილობაზე ავირჩიეთ თქვენ და ამხ. ფ. მახარაძე ჩვენს საპატიო წარმომადგენლად. გაუგზავნით რა ამას გიძღვნით თქვენ და მთელ ცენტრალურ მთავრობას ჩვენს მხურვალე სალამს. მშრომელი აჭარისტანი დღემდე ბეგებისა და აღების მიერ დაჩაგრული ყველა არსებულ მთავრობის ლოცვა კურთხევით, მენშევიკების გამოუკლებლად მხოლოდ ამ ჟამად სოციალისტურ საქართველოს მფარველობის ქვეშ ვგრძნობთ სისუბუქეს და მივიღეთ საშუალება ჩვენი ბედის [illegible] გამორკვევისა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მუშები და გლეხები საქართველოსი, რომლებმაც მოიხსნეს უღელი თავიანთ ბურჟუაზიისა და მემამულეებისა შემდეგშიაც გაგვიადვილებენ ახალ დასაწყისზე ცხოვრების მოწყობას. გაუმარჯოს საქართველოს მუშებსა და გლეხებს, რომლებმაც მოგვანიჭა ჩვენ ავტონომია, გაგვანთავისუფლა ბეგებისა და აღების ტერორის ექსპლოატაციიდან. გაუმარჯოს ჩვენს ცენტრალურ მთავრობას რომელიც დარაჯათ უდგას ჩვენს ინტერესებს და საჭიროებას. ყრილობის თავმჯდომარე ფესიმ ხიმშიაშვილი.

— მეორე სახელმწიფო კონსერვატორია აუწყებს იმ პირთ, რომელნიც ახლად შესულნი კონსერვატორიაში მარტის თვიდან საჭიროა შეავსონ ანკეტა, რომლის გარეშე კონსერვატორიაში მიღება შეუძლებელია. უკანასკნელი ვადა ანკეტის შემოტანისა არის 13 ნოემბერი. ანკეტის ნიმუშის მიღება შეიძლება კონსერვატორიის კანცელარიაში.

— ქალაქის რევკომის საინფორმაციო ბიურო საყოველთაოთ აცხადებს, რომ ქალაქის საავადმყოფოებში ავადმყოფები მიიღებიან სადამოობით. და რომ ქალაქის ვენერიულ საავადმყოფოში გახსნილია ქალთა განყოფილება სადაც უნდა მიმართონ ავადმყოფნი.

— **ტრამვაის მსხვერპლი.** ნოემბრის 11-ს დილის 11 საათზე, 19 თებერვლის ქუჩაზე ტრამვაის ვაგონს მოჰყვა 12—13 წლის მოწაფე, რომელიც იმ წამსვე გარდაიცვალა ვატმან კონდუქტორების თავაშვებულობას ამ მხრივ საზღვარი არა აქვს.

— დღეს, საღ. 7 საათზე, სახ. უნივერსიტეტში (1 აუდ.) მემარცხენე სოც.-ფედ. სარ. პარტიის ახალ. დრ. კავშირის დავალებით ამხ. სერ. ამაღლობელი წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე; „საქართველოს პრობლემა და ჩვენი პოლიტიკა". დასწრება შეუძლია ყველა სტუდენტს დასასრული კამათი. მოწვეული, ოფ. ოპონენტები.

— **სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატში.** საქტრანსპორტო დამზღვევ საზოგადოების ქონების აღსაწერად და გასანაწილებლად შემდგარ კომისიაში კომისარიატის წარმომადგენლად დაინიშნა დამზღვევ საზოგადოების კომისარი კონსტანტინე მესხი და იურისკონსულტი—კეკელიძე. აღნიშნულ პირთ ევალებათ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წარმომადგენელთან ერთად გაანაწილონ ქონება და სია წარმოადგინონ საქართველოს რევკომში ოთხი დღის განმავლობაში.

პარტიაში

დღეს, შუადღის 12 საათზე „ტრიბუნის" რედაქციაში დანიშნულია სარედაქციო კოლეგიისა და გაზეთის თანამშრომელთა შეერთებული კრება. დასწრება სავალდებულოა.

—

მთავარი კომიტეტის მდივნის ნახვა შეიძლება ყოველ დღე დილის 9 საათიდან შუადღის 2 საათამდე გაზ. „ტრიბუნის" რედაქციაში.

—

პარტიული სამკითხველო. პარტიის ცენტრალურ ბიუროში გაიხსნა სამკითხველო. სამკითხველოში ყოველ დღიურად არის რუსეთისა და ჩვენი ქვეყნის ყველა პერიოდული გამოცემანი. ამ დღეებში დაიწყება წიგნების გაცემაც. სამკითხველო ღიაა საღ. 5—9 საათამდე. სამკითხველომ შეიძინა ახლად გამოცემული პოლიტიკური წიგნები.

—

მემარცხენე სოციალ.-ფედერალისტთა ახალგაზრდათა დრ. მთავარი კავშირი აცხადებს ამხანაგების საყურადღებოთ რომ წევრთა რეგისტრაცია სწარმოებს ცენტრალურ ბიუროს ახალგაზრდათა ოთახში ყოველ დღე 9—2 საათამდე.

ახალგაზრ. დრ. კავშირი.

—

ახალგაზრდათა შორის. ახალგაზრდებს საერთოდ დიდ ყურადღებას აქცევენ ყველგან. ჩვენში ეს ასე არ არის. უნდა აღინიშნოს, რომ ამაში თვით ახალგაზრდობასაც მიუძღვის ბრალი.

ჩვენი პარტია, განსაკუთრებით, ახალგაზრდათა ლეგიონების ნავთსაყუდარი იყო. საქართველოს მომავალი აქ ჰპოებდა მედგარ მებრძოლებს.

მიუხედავად ამისა ს. ფ. პარტიის მეთაურთ მათთვის არაფერი გაუკეთებიათ. პარტიით საერთო სენი მცონარეობა, უმოქმედობა ახალგაზრდებსაც გადაედებოდა.

ჩვენი ძველი კავშირისა და სხვა საპასუხისმგებლო ორგანიზაციების საქმიანობა პრეზიდიუმის არჩევნებითა და ბეჭდის შეძენით ამოიწურებოდა.

პროვინცია შეჩერებოდა ცენტრს და მოლოდინში კარგავდა აქტიურობას.

იწვევდენ კონფერენციებს. პროვინცია, თვით უმოქმედო ცენტრის ამხანაგებიც აღნიშნავდენ უარყოფით მოვლენებს.

კონფერენცია ირჩევდა ახალ ორგანოებს, აფრთხილებდა მას, აბარებდა პროვინციას და იშლებოდა. მეორდებოდა ჩვეულებრივი ისტორია.

დრო დროს მისდევდა. ახალგაზრდებში გროვდებოდა უკმაყოფილება პარტიაშიაც ამოიღეს ხმა უმოქმედობის შესახებ, რამაც თავისი ნაყოფი გამოიღო.

აქტიურმა ნაწილმა დასტოვა მეექვსე კონფერენცია და ახალ ყრილობაზე თავისი თავი სამართლიანად მემარცხენე სოც.-ფედ. გამოაცხადა.

ნაწილი ძველი პარტიის ახალგაზრდობისა შეგნებულად დაბინავდა მისთვის მონათესავე პარტიაში და შეუდგა აქტიურ მუშაობას.

5 ნოემბერს უნივერსიტეტში მოხდა მემარცხენე სოც.-ფედ. სტუდენტთა საერთო კრება. მრავალ საკითხთა შორის ამხანაგების ყურადღებას იქცევდა საორგანიზაციო საკითხი და მომავალი მუშაობა.

ყველა აღნიშნავდა გასული მოქმედების დეფექტებს და მოითხოვდენ ახალი გაასკეცებული ენერგიით შესდგომოდენ სერიოზულ საქმეს.

აირჩიეს დროებითი მთავარი კავშირი რომელშიაც შედიან: ალ. ჭაბუკიანი, ს. ამაღლობელი, დ. გელოვანი, მ. სეფერთელაძე, ნ. ჩაჩავა, ნ. დოლაბერიძე, თ. მესხი, ც. ბურჯანაძე და ს. პეიშვილი. კანდიდატებით: ს. კახიანი და გ. გიორგიძე. ამავე კრებაზე არჩეულ იქმნა სარევიზიო კომისია, რომელშიაც შედიან: ან. ნიჟარაძე, გ. მხეიძე, და შ. ჩხიკვაძე კანდიდატათ ა. ბოკერია.

ამის შემდეგ საერთო კრება იშლება. დრ. კავშირი კი ირჩევს პრეზიდიუმს და თავის შემადგენლობას ჰყოფს სხვა და სხვა სექციებად. ისინი უკვე შეუდგენ მუშაობას, გადადგეს სათანადო ნაბიჯები და ვიმედოვნებთ, რომ მომავალ ყრილობაზე დრ. კავშირი პირნათლად წარსდგება.

კოჩა

რუსეთი

ამნისტია

მოსკოვი. 7 ოქტომბრის რევოლუციის 4 წლის თავის აღსანიშნავად და სამოქალაქო ომის გათავებისა და მშვიდობიან აღმშენებლობის ნიადაგზე გადასვლის გამო. სრულიად რუსეთის აღმ. კომიტეტი ადგენს: იმ პირთა მიმართ, რომლებიც გასამართლებული არიან სახალხო სასამართლოების, რევტრიბუნალების, განსაკუთრებულ კომისიის და მათი ორგანოების, საგუბერნიო განსაკუთრებულ კომისიების, სამმართველოების ადმინისტრატიულ განყოფილებების და სხვა ორგანოების მიერ რომლებსაც აქვთ უფლება დასჯის და სამართალში მიცემის:

1) განთავისუფლდეს სრულიად სასჯელის მოხდისაგან ის პირნი, რომლებსაც გადაწყვეტილი აქვთ უფლებების შეზღუდვით ან შეუზღუდველათ პირობითი დაპატიმრება.

2) იმ პირებს, რომლებსაც მისჯილი აქვთ დაპატიმრება თავისუფლების აღკვეთით ყარაულის ქვეშ საპყრობილეებში ან იძულებით სამუშაოების ბანაკებში, ან მისჯილი აქვთ ასეთები, მაგრამ შემდეგ გადაყვანილ იქმნენ სამუშაოებზე ყარაულის მიუყენებლად, შრომის აღმასრულებელი განყოფილებებისა და გუბერნიის განაწილებელ კომისიების დადგენილებათა თანახმად—შეუმცირდეს სასჯელის ვადა შემდეგი წესით: ა) პირნი, რომლებსაც გადაწყვეტილი აქვთ 1 წლამდე, განთავისუფლდეს სრულიად, ბ) ისინი, რომლებსაც მისჯილი აქვთ 1 წლიდან 3 წლამდე შეუმცირდეს ნახევრად, გ) რომლებსაც გადაწყვეტილი აქვთ 3 წლიდან 5 წლამდე შეუმცირდეს ერთ მესამედით.

შენიშვ.: დროს ანგარიში იწყება წინანდელი ამნისტიის შემდეგ დარჩენილ დროისგან.

3) იმ პირთა შესახებ, რომლებსაც გადაწყვეტილი აქვთ უმაღლესი სასჯელი და მათი საქმეები ჯერ კიდევ კასაციის პროცესშია, დაევალოს საკასაციო ინსტანციას, იხელმძღვანელოს ამნისტიით შეცვალოს უმაღლესი სასჯელი 5 წლით თავისუფლების აღკვეთით და აგრეთვე თვითეულ შემთხვევაში მხედველობაში მიიღოს საქმის არსებითი მხარე.

4) ამნისტია ვრცელდება ყოველ შემთხვევაში დასჯილის გადაწყვეტილ დროის განუსაზღვრელად:

ა) სპეკულიანტები, რომლებიც არ არიან დაკავშირებული კონტრ-რევოლუციონურ ორგანიზაციასთან, ბ) სასურსათო გაწერის შეუსრულებლობისათვის დასჯილები, რომლებზედაც არ გავრცელდა იუსტიციის კომისარიატის 29 აპრილის 1921 წ. დადგენილება ასეთ საქმეების მოსპობის შესახებ სასურსათო პოლიტიკის შეცვლის გამო, გ) კრონშტადტის აჯანყების მონაწილე მუშები და გლეხები, რომლებიც ჩათრეული იყვნენ მოძრაობაში შეუგნებლობით, დ) სამოქალაქო ომის დეზერტირები გამოუჭერლები.

5. ამნისტია არ ვრცელდება: ა) იმ პირებზე, რომლებსაც გადაწყვეტილი ჰქონდათ უმაღლესი სასჯელი და რომლებსაც ეს უკანასკნელი შეუცვალეს სასამართლოს დადგენილებით ან წინანდელი ამნისტიებით, თავისუფლების აღკვეთით მიუხედავად იმისა სასჯელის ვადა მოხდილია თუ უნდა მოიხადოს, ბ) ბანდიტიზმისათვის გასამართლებულებზე, გ) გასამართლებულებზე, რომლებიც მონაწილეობას იღებდენ თეთრგვარდიელთა შეთქმულებებში, შპიონაჟში, აშკარად შეიარაღებულ გამოსვლებში; არ ვრცელდება აგრეთვე საბჭოთა მოწინააღმდეგე პარტიების მოღვაწეებზე და დ) ქონების გარდახდევინებებზე, რომლებიც დადებულია როგორც სასჯელი.

6) გამოძიების ქვეშ მყოფ პირებზე, რომლების საქმეებიც არ შედის ამ ამნისტიის მე 4 მუხლში, ამნისტიის საკითხი წყდება სასამართლოს მიერ მათი საქმის მოსმენის დროს ამ წესების მიხედვით, რომლებიც აღნიშნულია ამ დადგენილების 1—5 სტატიებში.

7) გამოძიებას ქვეშ მყოფი პირები, რომლების საქმეებიც არ გადაეცემა სასამართლოს და განსაკუთრებულ კომისიის და მის ორგანოების განკარგულებაში ითვლება და თავის ხასიათით ამ დადგენილების მე-5 მუხლში შედის: ა) სრულიად უნდა შეწყდეს საქმეები იმ პირთა შესახებ, რომლების მიმართ განსაკუთრებული კომისიის სათანადო ორგანო შესაძლოდ დაინახავს ამ ამნისტიის გამოქვეყნებისათანავე მათ განთავისუფლებას ხელწერილის ან თავდებ ქვეშ. ბ) ის პირები, რომლების საქმეებიც გადაცემულია სასამართლოზე და ამ ამნისტიის გამოქვეყნების დროს არიან დატუსაღებულები სასჯელის მაქსიმალური ვადა უნდა განისაზღვროს ერთ განსაკუთრებულ კომისიისაგან საქმის გარჩევის შემდეგ. გ) გამოძიების ქვეშ მყოფი პირები, რომლებმაც გაატარეს თავისუფლების აღკვეცის 6 თვე ამ ამნისტიის გამოქვეყნებამდი, სასჯელის მაქსიმალური ვადა უნდა განისაზღვროს ერთი წლით და ითვლებოდეს თავისუფლების აღკვეცის მომენტიდან.

შენიშვნა: იმ პირთა საქმეები, რომლებიც ამ სტატიის მოქმედებას ექვემდებარება, უნდა გაირჩეს ერთი თვის განმავლობაში.

8) წინადადება მიეცეს განსაკუთრებულ კომისიას ერთი თვის ვადაში გადაათვალიეროს ადმინისტრატიული წესით გადასახლებულების სია, რომ განთავისუფლდეს სასჯელისაგან ყველა მათგანი, რომლების დარჩენაც საბჭოთა რუსეთისათვის არ წარმოადგენს საშიშროებას.

9) იმ პირთა მიმართ, რომლებიც გასამართლებული არიან სახალხო სასამართლოს და რევტრიბუნალების მიერ, ამნისტია უნდა გატარდეს ცხოვრებაში საგუბერნიო გამნაწილებელი კომისიებისაგან ერთი თვის განმავლობაში დღიდან ამნისტიის აქტის გამოქვეყნებისა და ეცნობოს ადგილებზე სათანადო სასამართლოს ორგანოებს.

საჩივრები ამნისტიის არ გატარებისა ან უკანონოდ გატარების შესახებ უნდა აღძრულ იქნას ერთი კვირის განმავლობაში დღიდან მომჩივანისათვის ამნისტიის გამოცხადებისა და ერთი თვის განმავლობაში ამნისტიის გამოქვეყნებისა თუ ის სრულიად არ იქნა გამოცხადებული რომელიმე პირის მიმართ. ყველა ასეთი საჩივრები წყდება საბოლოოდ იუსტიციის საგუბერნიო განყოფილებისაგან, დადგენილების მე-8 სტატიის მიერ გათვალისწინებულ შემთხვევებისა და ან ანალოგიურ შემთხვევებისა, რომლებსაც შეიძლება ადგილი ექნეს მე-6 სტატიის სასამართლოსაგან ცხოვრებაში გატარების დროს. ასეთ შემთხვევებში არავითარი გასაჩივრება არ შეიძლება.

10) ორგანოები, რომლებიც ატარებს ცხოვრებაში ამნისტიას, უფლება აქვთ ცალკე შემთხვევებში შუამდგომლობა აღძრას სრულიად რუსეთის აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის წინაშე ცალკე პირების მიმართ ამნისტიის არ გატარების შესახებ მისი საშიშროების გამო.

11) ამ დადგენილების ცხოვრებაში სწორად გატარების თვალყურის დევნება და ყველა სადაო საკითხების გადაჭრა, რომლებსაც შეიძლება ადგილი ექნეს მისი გატარების დროს, ეკისრება იუსტიციის სახალხო კომისარიატს.

12) ეს დადგენილება მოქმედებაში შედის ტელეგრაფით.

სრულ. რუსეთ. აღმასკომის თავმჯ.
მ. კალინინი.
მდივანი: ა. ენუქიძე.
მოსკოვი კრემლი, 4 ნოემბერი 1921 წ.

უცხოეთი

ვაშინგტონის კონფერენციის გარშემო.

მოსკოვი. ნოემბრის 5 საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი რ. ს. ფ. ს. რ. ამხ. ჩიჩერინი ნოტაში 2 ნოემბრის თარიღით დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიის და ამერიკის შეერთებულ შტატების მისამართით აცხადებს:

„რუსეთის მთავრობის მიერ 1921 წ. 19 ივლისს გამოთქმული პროტესტი მის მონაწილეობის გარეშე საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის წინააღმდეგ იქნა დატოვებული მოკავშირეთა მხრივ უპასუხოთ. ვინაიდან მოახლოვდა კონფერენციის გახსნა, რუსეთის მთავრობა იმეორებს პროტესტს თავის წარმომადგენლის დაუსწრებლად იმ კითხვების გადაჭრის წინააღმდეგ, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია რუსეთის ინტერესებთან, აგრეთვე იმეორებს თავის განცხადებას იმაზე, რომ იგი იტოვებს მოქმედების სრულ თავისუფლებას ყველა საკითხებში, რომლებიც განხილული იქნება კონფერენციაზე, და გამოიყენებს ამ თავისუფლებას ყველა შემთხვევებში და ყოველივე საშუალებებით, რომლებსაც იგი მიიჩნევს საჭიროდ.

რუსეთის მ[illegible] უკმაყოფილებით შეხვდის უსამართლობის და ძალმომრეობის [illegible]. რუსეთის მუშურ-გლეხური მთავრობა აცხადებს, რომ 130 მილიონიანი ხალხი არ დაუშვებს მის ნების აშკარად აგდებას. უცქერიან მას, როგორც უხმო საგანს სხვების გადაწყვეტილებისა. რუსეთის ხალხები უდიდეს უკმაყოფილებით შეხვდებიან იმ განცხადებას, რომ დიდ-მპყრობელები იღებენ თავის თავზე მათ ინტერესებზე ზრუნვას. რუსეთმა უკანასკნელ წლებში გამოსცადა დიდმპყრობელთა ღვაწლი. მშრომელ მასებმა ჩინებულად იციან, რომ როდესაც დიდ-მპყრობელნი მოკიდებენ ხელს რუსეთის დაუკითხავად იმ საკითხების გადაწყვეტას, რომლებიც ეხება რუსეთის ინტერესებს, ეს კითხვები გადაწყვეტილი იქნება იმ მოსაზრებებით, რომლებიც წინააღმდეგი იქნება რუსეთის ხალხებისა და ინტერესების.

ასეთ პირობებში ვაშინგტონის კონფერენციის გადაწყვეტილება აუცილებლად მოხდება ახალ კონფლიქტების წყაროდ, ახალ ჩარევის და ახალ აფორიაქების. არა მშვიდობას, არამედ განხეთქილებას, ბრძოლას და სიძულვილს შეიტანს კონფერენცია საერთაშორისო ურთიერთობაში და გახდება მხოლოდ მიზეზი მთელ მსოფლიოს ახალ უბედურებისა.

მოსკოვი. ნოემბრის 6. ვაშინგტონის კონფერენციის წინადღე ვაჭრობა ხდება ყველგან. შეერთებული შტატები აღუთქვავენ საფრანგეთს დააკმაყოფილოს ყველა მისი მოთხოვნილებანი, თუ საფრანგეთის დელეგატები მხარს დაუჭერენ კონფერენციაზე ამერიკის პოლიტიკას შორეულ აღმოსავლეთის შესახებ.

ლონდონი. 18 ნოემბერს. ლონდონის დელეგატების მიერ ვაშინგტონის კონფერენციაზე, „დეილი გერალდი"-ს ცნობით, შემუშავებულია მემორანდუმი ზღვაზე და ხმელეთზე შეიარაღებულ ძალების განსაზღვრის საკითხის შესახებ. ამ მემორანდუმში აღნიშნულია, რომ ხალხთა ლიგის მიერ ამ დარგში არაფერი გაკეთებულა. პირველად, იმიტომ რომ არც ერთ სახელმწიფოს, რომელიც შედის ლიგაში, არ სურს განიარაღება; მეორედ, იმიტომ, რომ, ლიგას, რომელშიც არ შედის სამი დიდი სახელმწიფო, არ ძალუძს ამ საკითხის გადაჭრა. ეს მიზეზები არ არის დაძლეული ახლაც, ვაშინგტონის კონფერენციის მოწვევის მომენტში. ამიტომ, სწერს „დეილი გერალდი", არ არის საფუძველი იმისა, რომ კონფერენცია მოგვცემს საგულისხმო რეზულტატებს.

ლონდონი. 18. ვაშინგტონის კონფერენციაზე, „დეილი გერალდის" ცნობებით, განხილული იქნება ციმბირის საკითხი. გაზეთის აზრით, ეს სიმპტომია ახალ განზრახვებისა რუსეთის წინააღმდეგ: მპყრობელთ სურთ „გაანთავისუფლონ" ციმბირი საბჭოთა უფლებისაგან და გაყონ იგი კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის. ამას უნდა მიაქციოს ყურადღება, მუშათა პარტია უნდა იყოს სადარაჯოზე და ამით შესძლებს კაპიტალისტურ მთავრობების სიბოროტის აცდენას.

ლონდონი. 4 ნოემბერი. ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატების ელჩი გარვეიმ ლივერპულში განაცხადა თავის სიტყვაში, რომ პირველი ამოცანა მთელ განათლებულ მსოფლიოსი—ეკონომიურ ზავის ჩამოგდება არის ეს არის საგულისხმო ამოცანა, რომელიც უნდა გადაწყვიტოს მსოფლიომ. სწორედ ამიტომ გარვეი [illegible] იმას, რომ ვაშინგტონის კონფერენციამ განიხილოს არა მარტო პოლიტიკური საკითხები, არამედ ეკონომიური საკითხებიც, კერძოთ—ამერიკა—ინგლისის ეკონომიური თანამშრომლობის. დასასრულ გარვეიმ აღნიშნა, რომ ამერიკა არაფერს ისე არ [illegible], როგორც [illegible] ქვეყნებთან [illegible] კავშირის დამყარებას.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

სტ. იქიმ მე-V სემესტრის
კონსტანტინე გრიგორის ძე
ტარიელაშვილის
სტუდენტის წიგნაკი როგორც დაკარგული ჩათვალის გაუქმებულად. 56

გიმნაზიის მასწავლებელი
ამზადებს მოწაფეებს
სპეც. ქართული, საზოგადო ისტორია
მისამართი: იკითხეთ „ტრიბუნის" რედაქციაში.

ტირაჟი 1000
სტამბა „[illegible]" [illegible] ქუჩა 4